ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5657759

ნომერი: AR1855964

თარიღი : 12.10.2021

გაცემის თარიღი : 28.10.2021

გაცნობის თარიღი : 29.10.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, N 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 415
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 7.09.2021

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მარიამ პაპუკაშვილი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს კალასი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205011217

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს კალასი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205011217
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ხუციშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 59001014461

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 13160.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 12755.8
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 9910.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 4538.4
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1168.8
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 496.3
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 942.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1233.7
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 45.6
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 91.1
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1393.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 16862.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 10036.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 6826.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 48.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 42.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 5.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 790.7 კვ.მ - 0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 8497.9 კვ.მ - 0.6
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3950 - 0.3

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. საპროექტო ტერიტორიაზე საჭიროა განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და წარმოდგენილი იქნას აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე დატანილ იქნას განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული საჯარო სერვიტუტი.

2. ვაინაიდან ტერიტორიაზე შეთანხმებული განაშენინების რეგულირების გეგმა გარდა განაცხადით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთისა მოაიზრებს მიმდებარე მუნიცპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის

ნაკვეთებსაც, საჭიროა მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთების გამიჯვნა/გაერთიანება შეთანხმებული გრგ-ს შესაბამისად.

3. ვინაიდან წარმოდგენილი გენგეგმით ხდება 01.10.06.001.002 ნაკვეთის გარდა მიმდებარე, გრგში შემავალ, ნაკვეთებზე ბილიკების და ა.შ მშენებლობა, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნას სსიპ ქ. თბილისის ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა უკვე გამიჯნული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების დაფიქსირებით. ასევე საჭიროა აღნიშნული მიწის ნაკვეთები მოინიშნოს განაცხადზეც, რისთივისაც გერთვებათ რუკაზე ცვლილების ღილაკი.

4. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

- წარმოდგენილი იქნას ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500), შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების, ხე-ნარგავების ჩვენებითა და შესაბამისი პირობითი ნიშნების დატანით) დამოწმებული შესაბამისი წესით, დასკანერებული სახით.
- გენ.გეგმაზე დაინომროს შენობეები და მოინიშნოს საპროექტო ობიექტი. შესაბამისი ნუმერიაციით მიეთითოს სატიტულო ინფორმაციაში.
- დაიტანეთ გადახურვის შესაბამისი ნიშნულები.
- შენობის კუთხეებში დაიტანეთ აბსოლუტური ჰორიზონტალური (კანონმდებლობით განსაზღვრულ კოორდინატთა სისტემაში) და ვერტიკალური ნიშნულები.
- დაიტანეთ შნეობის საკადასტრო საზღვრებთან და მომიჯნავე შენობებთან მიბმის ზომები.

5. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოადგინეთ განახლებული, დღევანდელი მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, თარიღის დატანით.

6. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
„ა“ ღერძისა და „გ“ ღერძის გარეთ განთავსებული საზაფხულო ფართები შეყვანილ იქნას კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში. კორექტირებული კროკი წარმოდგენილი იქნას ვექტორულ ფაილში.

7. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
ვექტორულ ფაილში წარმოდგენილი იქნას კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის კროკი.

8. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:

- გეგმებზე დაიტანეთ ერთეულების დასახელებები და ნუმერაცია, აღნიშნული ექსპლიკაციაში შესაბამისი ნუმერაციით წარმოდგენილი იქნას ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელების დატანით.
- შენობაში განთავსებული საოფისე სართულები, გეგმარბითა და ვიზუალით არ შეესაბამება მინიჭებულ ფუქნციას.
- +36,10 ნიშნულზე განთავსებული სართული წარმოდგენილი სიმაღლით არ არის მისაღები.
- წარმოდგენილი იქნას შენობაში ფუქნციების გადანაწილების ანგარარიშის კროკები, დაიტანეთ შესაბამისი პროცენტულობა. გაითვალისწინეთ, შეთანხმებული გრგ-ს შესაბამისად განსაზღვრულია შენობაში ფუნქციების გადანაწილება შემდეგნაირად - 25% კომერციული, 75% საცხოვრებელი.
- -5,80 ნიშნულზე დატანილ იქნას წყლის რეზერვუარის სივრცის შემომსაზღვრელი კედელი სრულად.
- N 30 ბინაში გასწორდეს გრაფიკული ხარვეზი და დატანილ იქნას კედლები სრულყოფილად.
- განახცადზე წარმოადგენილი იქნას „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად დამუშავებული მხოლოდ ერთი სახის გეგმები. ამჯერად განაცხადზე წამოდგენილია კორექტირებამდე გეგმებიც.
- თავისუფალ სვლა-გეზზე განთვსებულ კარებზე დაიტანეთ შიდა თავსიუფალი ღიობის ზომა, გაითვალისწინეთ გზა--კა-რის თა-ვი-სუ-ფალი ღიო-ბი უნ-და იყოს არაუმ-ცი-რეს 820 მმ სი-გა-ნის (გზა--კა-რის თა-ვი-სუ-ფა-ლი ღიო-ბის სი-გა-ნე უნ-და გაიზო-მოს კა-რის პი-რი-დან გა-ჩერე-ბის ად-გი-ლამ-დე, რო-დე-საც კა-რი ღიაა 90

• მისაწვდომი სველი წერტილების დეტალური ნახაზებიწ არმოდგენილი იქნას სრულყოფილად, განშილის ჩვენებითა და დეტალური ზომების დატანით. გაითვალსიწინეთ, „ა“ ტიპის ბინებში სველი წერტილები საჭიროა შეესაბამებოდეს „მისაწვდომოების ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 თავს. შესაბამისად დაკორექტირდეს დოკუმენტაცია და აღნიშნულთან დაკავშირებით განიმარტოს შესაბამის საექსპერტო შეფასებაში.

• წარმოდგენილი იქნას შენობაში შესასვლელი პანდუსის სრულყოფილი დეტალური ნახაზები, გაითვალსწინეთ, პანდსუები უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომოების ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკური რეგლამენტის 405-ე ქვეთავს, ხოლო სახელურები ხოლო სახელურები 505-ე ქვეთავს. ხოლო პანდუსის სახელურები საჭიროა შეესაბამებოდეს „მისაწვდომოების ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკური რეგლამენტის 505.2-ე ქვეთავს. პანდუსზე დაიტანეთ დახრის პროცენტულობა. შესაბამისად დაკორექტირდეს დოკუმენტაცია და აღნიშნულთან დაკავშირებით განიმარტოს შესაბამის საექსპერტო შეფასებაში.

• წარმოდგენილი იქნას ლიფტის სრულყოფილი დეტალური ნახაზები სრულყოფილად, ლიფტები უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომოების ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკური რეგლამენტის 407-ე ქვეთავს, წარმოდგენილი იქნას ლიფტის სამართავი ღილაკების ნახაზები რომელიც უნდა შეესაბამებოდეს 407.4.7.1.3 ცხრილს. შესაბამისად დაკორექტირდეს დოკუმენტაცია და აღნიშნულთან დაკავშირებით განიმარტოს შესაბამის საექსპერტო შეფასებაში.

9. შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.:

• წარმოდგენილი იქნას ლიფტის შახტის კვნაძის დეტალური ნახაზი, განიმარტოს როგორ ხდება ლიფტის ტექნიკური მომსახურება.

• კიბეები უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომოების ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკური რეგლამენტის 504-ე ქვეთავს. ხოლო სახელურები 505-ე ქვეთავს, წარმოდგენილი იქნას შესაბამისი სრულყოფილი დეტალური ნახაზები და აღნიშნულთან დაკავშირებით განიმარტოს შესაბამის საექსპერტო შეფასებაში.

10. ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). :
ფოტომონტაჟსა და ვიზუალიზაციებზე მოინიშნოს განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო შენობა.

11. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :
დაკორექტირდეს ხარვეზების შესაბამისად.

12. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:
დაკორექტირდეს ხარვეზების შესაბამისად.

13. მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:

• დამატებით, წარმოდგენილი იქნას სრულყოფილად დამუშავებული დემონტაჟის ორგანიზების პროექტი, აღნიშნულ დემონტაჟის ორგანიზების პრეოქტს საჭიროა თან ერთვოდეს საქესპერტო შეფასება (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება). კლადენდარულ გარაფიკში, დემონტაჟის სამუშაებს მიეთითოს სადემონტაჟო შენობების ნუმერაცია ამონაწერის შესაბამისად.

მოგახსენებთ რომ სადემონტაჟო შენობის სრულყოფილი დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს:
- განმარტებით ბარათს: ტერიტორიაზე არსებული შენობების მითითებით, სადემონტაჟო პროცედურის წარმოების თანმიმდევრობის აღწერას და სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობების უსაფრთხოებისა და მათზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის აცილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
- სადემონტაჟო შენობის აზომვით ნახაზებს (სრული შემადგენლობით: გეგმები ფასადები და ჭრილები;) დამოწმებული შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ის მიერ. აწყობილი ერთი pdf ფაილის სახით.
- არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსუტათებს.

- გენ-გეგმას. სადემონტაჟო შნეობების მონიშვნითა და სამშენებლო ტექნიკის დატანით.
- საექსპერტო შეფასებას.
ვინაიდან არ არის წარმოდგენილი დემონტაჟის ორგანიზაციის სრულყოფილი პროექტი, შესაბამისად ვერ ხერხდება საკითხის სრულყოფილად განხილვა

- საპრეოქტო ობიექტის მშენებლობის ორგანიზების გრაფიკში სართულებს მიენიჭოს შესაბამისი ნიშნულები.

ეტაპების დასადხელებები ჩამოყალიბდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად.

განიამრტოს თუ რას ეხება ჩანაწერი „კარკასი ორი ბლოკი“.

ასევე, გაითვალისწინეთ საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ შეთანხმებული საგზაო მძრაობის ორგანიზების სქემის წერილის პირობა - „დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება“

14. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:
მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი საჭიროა გადახდილ იქნას კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის გაოთხმაგებული ოდენობა.

15. წარმოდგენილი იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - დამკვეთის მიერ გაცემული, დამოწმებული მინდობილობა. წარმოდგენილი იქნას აღნაგობის საფუძვლები სრულად და სჭიროების შემთხვევაში, მესაკუთრის მიერ გაცემული, დამოწმებული თანხმობა. ასევე, წარმოდგენილი იქნას იპოთეკარის თანხმობა.

16. წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელგაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები.

17. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:
წარმოდგენილი გეოლოგია ვერ ჩაითვლება მისაღებად რადგან არ არის წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება, შესაბამისად უკვე წარმოდგენილ დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას საექსპერტო შეფასება და ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების ექსპერტის აღნიშნულ დარგში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი რეზიუმეთი (10 წლიანი გამოცდილებით).

18. წარმოდგენილ იქნას საპროექტო ობიექტის კონსტრუქციული პროექტი.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული სქემა შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილისაგან, სადაც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაბარიტული ზომები; საძირკვლის, გადახურვის და ვერტიკალური ელემენტების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები) ტიპი; შენობა-ნაგებობის სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და დეფორმაციაზე გაანგარიშების საწყისი მონაცემები (მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სიხისტეები, სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები), სივრცითი ანგარიშისათვის გამოყენებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის დასახელება და გაანგარიშებათა შედეგები (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და რხევის პერიოდი), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამისი და ამავე კონსტრუქციულ სქემაში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის/რეგლამენტების მოთხოვნებს. ხოლო, კონსტრუქციული პროექტი უნდა მოიცავდეს კონსტრუქციული სქემით გათვალისწინებულ ყველა ინფორმაციას დაზუსტებული, დაკონკრეტებული სახით და იძლეოდეს მშენებლობის განხორციელებისთვის ამომწურავ ინფორმაციას.

კონსტრუქციული პროექტი დამატებით უნდა მოიცავდეს:
ა) ფუძის მოწყობის, საძირკვლის და გადახურვის ძირითად ნახაზებს (ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციების ტიპების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები და ა. შ.), ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, გადახურვის ზედაპირის ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით);
ბ) ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს;

გ) კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების და სამშენებლო მასალების სპეციფიკაციას.

კონსტრუქციული სქემა/პროექტის ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია წარმოსადგენია თანდართული საექსპერტო შეფასებით. ასევე, წარმოადგინეთ ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება).

19. საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

20. სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში (წერილის ნომერი : 60-0121301898), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ კვლევის დასრულების შემდგომ, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.